

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“**ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ**”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი

„--15--“-----11-----“ 2016 წელი

ეგზ. № 1

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014-2015 წლების ფინანსური ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში N: 68/36

2016 წელი

სარჩევი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	4
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	5
2014 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები	6
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში.....	6
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებითა და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	6
მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით.....	7
სხვა საგადასახადო აქტივი.....	7
შენობა-ნაგებობები.....	8
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი.....	9
არაწარმოებული აქტივები	10
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	10
შრომის ანაზღაურება.....	10
ტრანსპორტის ხარჯი.....	11
სუბსიდია	11
სხვა ხარჯი	12
არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლა.....	14
ინვენტარიზაცია	14
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	15
2015 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები	15
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში.....	15
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებითა და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	15
მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით.....	16
სხვა საგადასახადო აქტივი.....	16
შენობა-ნაგებობები.....	17
არაწარმოებული აქტივები	18
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	19

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	19
შრომის ანაზღაურება.....	19
სუბსიდია	20
სხვა ხარჯი.....	20
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივი	21
არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლა.....	21
არამატერიალური ძირითადი აქტივები.....	22
ინვენტარიზაცია	22
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	22
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	23
წინა პერიოდის აუდიტის შედეგებზე აუდიტის ობიექტის რეაგირება	23
2014 წლის ფინანსური ანგარიშგება.....	26
2015 წლის ფინანსური ანგარიშგება.....	46
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	66
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	66

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი. აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცა აუდიტორული მოსაზრება, მოიცავს¹:

- ✓ ბალანსს;
- ✓ ანგარიშს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით
- ✓ ანგარიშს არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ
- ✓ ანგარიშს ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ
- ✓ ანგარიშს წმინდა ღირებულების შესახებ
- ✓ ანგარიშს არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ
- ✓ ანგარიშს მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი გრანტების შესახებ
- ✓ ანგარიშს არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ
- ✓ ანგარიშს არასაოპერაციო შემოსავლებისა და არასაოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილების შესახებ
- ✓ ინფორმაციას არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე
- ✓ ინფორმაციას ანგარიშებზე რიცხულ დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ
- ✓ ინფორმაციას დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;

¹ 2014 წელს ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავდა ანგარიშებზე რიცხულ დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ და ინფორმაციას დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების შესახებ.

- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

თვითმმართველ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2014-2015 წლებში ბუღალტრულად აღირიცხებოდა მთლიანი გადასახდელების დაახლოებით 45%. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღირიცხებოდა მხოლოდ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ადმინისტრაციული ხარჯები და არ ხდებოდა ისეთი მნიშვნელოვანი ოპერაციების ბუღალტრული გატარება და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენა, როგორიცაა, მაგალითად:

- ✓ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში შექმნილი არაფინანსური აქტივი.
- ✓ მუნიციპალიტეტის მიერ ამხანაგობებზე გაწეული თანადაფინსება.

- ✓ სოციალური პროგრამების ფარგლებში ბენეფიციარებზე გაცემული დახმარებები.
- ✓ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებზე გაცემული დაფინანსება.
- ✓ ინფორმაცია დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ.

მუნიციპალიტეტის მიერ თავდაპირველად წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავდა მუნიციპალიტეტის ფინანსურ მდგომარეობას. აუდიტის მიმდინარეობისას, აუდიტის ობიექტმა პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე შეადგინა დამატებითი ბუღალტრული გატარებები და წარმოადგინა კორექტირებული ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფი მოსაზრებას გამოთქვამს მუნიციპალიტეტის მიერ ბოლოს წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენა 2014 წლამდეც ზემოთ აღწერილი მეთოდით ხორციელდებოდა. შესაბამისად, ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს, აუდიტის ჯგუფი ეყრდნობა 2014 წლის 1 იანვრისათვის ბალანსში წარმოდგენილ საწყის ნაშთებს და არ გამოთქვამს მოსაზრებას მათ სისწორეზე.

2014 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი საბანკო ამონაწერების მიხედვით, 2015 წლის 1 იანვრისთვის მუნიციპალიტეტს ნაშთის სახით ერიცხება 6 521.4 ათასი ლარი. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი არ არის საბანკო ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთები.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) მუხლში „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ საბოლოო ნაშთი შემცირებულად არის წარმოდგენილი, რაც გავლენას ახდენს ბალანსის სისწორეზე.

მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებითა და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით

გარემოება. 2015 წლის 1 იანვრის მონაცემებით, მუნიციპალიტეტს ერიცხება წინა წლების საიჯარო ქირის მიუღებელი თანხა, სულ 309.8 ათასი ლარი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით², ანგარიშზე – „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“, აღირიცხება გადასახადებთან და საკუთრების სხვა შემოსავლებთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები. მიუღებელი საიჯარო ქირა

² „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

მუნიციპალიტეტის მიერ არ არის აღრიცხული ბუღალტრულად და შესაბამისად, არ არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლების“ მუხლი შემცირებულია 309.8 ათასი ლარით.

მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით

გარემოება. 2015 წლის 1 იანვრის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის სამსახურების ინფორმაციის შესაბამისად, წინა წლებში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის სახით მიუღებელია 631.7 ათასი ლარი. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად³, აღნიშნული სახის მოთხოვნები წარმოიქმნება აქტივების მიწოდების ან მომსახურების გაწევის შედეგად. თანხა, როგორც მუნიციპალიტეტის კუთვნილი შემოსავლები, არ არის აღრიცხული და წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“ მუხლი შემცირებულია 631.7 ათასი ლარით.

სხვა საგადასახადო აქტივი

გარემოება: ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შედარების აქტის მიხედვით, ქუთაისის მუნიციპალიტეტს 2014 წლის გადასახადების საბოლოო სალდოდ ერიცხება ზედმეტობა 95.6 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული საგადასახადო აქტივი არ არის ბალანსის შესაბამის მუხლში ასახული. საანგარიშო წლის დასრულების შემდეგ, საგადასახადო აქტივი აღიარდება სხვა ეკონომიკური ნაკადების კრედიტში⁴.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „სხვა საგადასახადო აქტივის“ მუხლი შემცირებულია 95.6 ათასი ლარით.
- o (ბალანსი -დანართი ფორმა №3) - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ არასწორადაა წარმოდგენილი „სხვა ეკონომიკური ნაკადების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე. შესაბამისად, ფინანსურ

³ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“: მუხლი 14, პუნქტი 16.

ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

შენობა-ნაგებობები

გარემოება 1. მუნიციპალიტეტმა წლის მანძილზე განახორციელა 427.7 ათასი ლარის საგზაო მონიშვნითი და გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები⁵. ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებლებს აუნაზღაურდათ სამუშაოების ღირებულების ნაწილი 417.1 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი 10.6 ათასი ლარი დაუკავდათ საგარანტიო ვადის გასვლამდე. აღნიშნული სამუშაოები წარმოადგენს ორგანიზაციის არაფინანსური აქტივის ზრდის ოპერაციას და უნდა აღირიცხოს „შენობა-ნაგებობების“ და „ვალდებულებების“ შესაბამის მუხლებში. ფინანსურ ანგარიშგებაში, ოპერაცია ნაცვლად აქტივისა, წარმოდგენილია ხარჯებში, კერძოდ „სუბსიდიის“ მუხლში თანხით 417.1 ათასი ლარი, ხოლო კრედიტორული დავალიანება „აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლში არ არის აღრიცხული.

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1; ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები შემცირებულია 427.7 ათასი ლარით.
- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2; №3) „სუბსიდიის“ მუხლი გაზრდილია 417.1 ათასი ლარით.
- o საგარანტიო ვადის გასვლამდე დაკავებული თანხა წარმოადგენს კრედიტორულ დავალიანებას, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლი შემცირებულია 10.6 ათასი ლარით.
- o შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა, რაც არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- o დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილი „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება 3. მუნიციპალიტეტის მიერ წლის მანძილზე განხორციელდა 105.6 ათასი ლარის ისეთი საპროექტო მომსახურების შესყიდვა⁶, რომელთა საშუალებით შეიქმნა მუნიციპალიტეტის ძირითადი ქონება. საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით⁷, ოპერაციის ძირითად აქტივად აღიარების დროს ყველა დანახარჯი, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად და

⁵ ცენტრალური გზებიდან საცხოვრებელი სახლების ეზოებამდე მისასვლელი გზების ბეტონის საფარით კეთილმოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულება №226, 276, 287, 332

⁶ ხელშეკრულებები №50, 52, 53, 54, 86, 87, 93, 94, 120, 295, 298, 320, 322, 344, 350, 351, 378, 412

⁷ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ემატება აქტივის ღირებულებას. მიუხედავად ამისა, აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილია „სუბსიდიის“ მუხლში.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1; ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი.
- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2; №3) „სუბსიდიის“ მუხლი გაზრდილია 105.6 ათასი ლარით.
- o შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა, რაც არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- o დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილი „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

გარემოება. მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 59.0 ათასი ლარის ძელსკამები, რომლის ერთეულის ღირებულება საშუალოდ შეადგენს 224 ლარს. ინსტრუქციის მიხედვით⁸, 500 ლარზე ნაკლები ღირებულების და ერთ წელზე მეტი ვადით, მრავალჯერადი გამოყენების ტექნიკა, ინვენტარი და მოწყობილობა აღირიცხება ანგარიშზე „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“. ასევე, ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები აღირიცხება საცნობარო მუხლში - „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივი“. ძელსკამები ბალანსში არასწორად არის წარმოდგენილი „მანქანა დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლში.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1 და ბალანსის დანართი ფორმა №5) „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი გაზრდილია 59.0 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების მუხლი.
- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1) საცნობარო მუხლი - „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივი“ შემცირებულია 59.0 ათასი ლარით.
- o გრძელვადიან მცირეფასიან აქტივს ცვეთა არ ერიცხება, შესაბამისად დარიცხული ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.

⁸ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

- o დარიცხული ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

არაწარმოებული აქტივები

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 2014 წელს მუნიციპალიტეტი ფლობდა 400.0 ათას კვ.მ-ზე მეტ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1321-ის შესაბამისად⁹, არაწარმოებული აქტივები კლასიფიცირდება გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებად და აღირიცხება „არაწარმოებული აქტივის“ ანგარიშზე. აღნიშნული აქტივი მუნიციპალიტეტის მიერ არ არის აღრიცხული და წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „არაწარმოებული აქტივების“ მუხლი შემცირებულია შესაბამისი თანხით.
- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №3) არაფინანსური აქტივების მიღება არ არის ასახული, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- o „არაწარმოებული აქტივების“, კერძოდ, „მიწის“ მუხლში (ბალანსის დანართი ფორმა №5) არ არის ნაჩვენები მიწის ღირებულება.

სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები

გარემოება. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის მიერ სარგებლობის უფლებით გაცემული ქონებიდან მოიჯარეების მიერ წინასწარ გადახდილმა საიჯარო ქირამ შეადგინა 10.1 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ წინასწარ მიღებული თანხა არ არის აღრიცხული და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი¹⁰.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) არ არის ასახული მუხლი „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები“, თანხით 10.1 ათასი ლარი.

შრომის ანაზღაურება

გარემოება 1. ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2014 წელს განხორციელდა პროგრამები „ეს იმუშავებს“ და „ნარჩენების მართვის ინოვაციური მეთოდების დანერგვა საქართველოს, მოლდოვასა და სომხეთის ქალაქებში“. პროგრამის ფარგლებში დასაქმებულ პირებზე ხელფასის სახით გაცემული 56.2 ათასი ლარი ორგანიზაციის ბალანსში ასახულია „თანამდებობრივი სარგოს მუხლში“. ასევე, „ნარჩენების მართვის ინოვაციური მეთოდების

⁹ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 30, პუნქტი 25.

დანერგვის“ ფარგლებში გაცემული ხელფასი, 40.0 ათასი ლარი, აღრიცხულია „სუბსიდიის“ მუხლში. აღნიშნული თანხა წარმოდგენილი უნდა იყოს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2) ერთი მხრივ, „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლი გაზრდილია 56.2 ათასი ლარით, „სუბსიდიის“ მუხლი გაზრდილია 40.0 ათასი ლარით, ხოლო მეორე მხრივ, „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლი შემცირებულია 96.2 ათასი ლარით.

გარემოება 2: მუნიციპალიტეტის ბალანსის დანართი ფორმა №2-ის „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლი, გარდა ხელფასებისა, მოიცავს პრემიას - 503.3 ათას ლარს და დანამატს -3.9 ათას ლარს. საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, პრემიის სახით გაცემული თანხები უნდა კლასიფიცირდეს „პრემიის“ მუხლში, ხოლო დანამატის სახით გაცემული თანხები „დანამატის“ მუხლში.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2) ერთი მხრივ, „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლი გაზრდილია 507.2 ათასი ლარით, ხოლო მეორე მხრივ, „პრემიის“ მუხლი შემცირებულია 503.3 ათასი ლარით და „დანამატის“ მუხლი 3.9 ათასი ლარით.

ტრანსპორტის ხარჯი

გარემოება: 2014 წელს მუნიციპალიტეტმა შპს „ლუკოილ ჯორჯიასგან“ შეისყიდა 9.4 ათასი ლარის საწვავი¹¹. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით¹², ტრანსპორტის მუხლში აღირიცხება საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯები. აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტის მიერ აღრიცხულია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში, ნაცვლად „ტრანსპორტის ხარჯის“ მუხლისა.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 9.4 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „ტრანსპორტის ხარჯის“ მუხლი.

სუბსიდია

გარემოება 1: მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ხელშეკრულების ფარგლებში შეისყიდა 39.0 ათასი ლარის ბეჭდვითი მომსახურება¹³, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში

¹¹ ხელშეკრულება №2, №35

¹² საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №672

¹³ ხელშეკრულებები №29,121,315,355 და დადგენილებების გამოქვეყნება

წარმოდგენილია „სუბსიდიის“ მუხლში. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით¹⁴, „ოფისის ხარჯების“ მუხლი მოიცავს საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთებისა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო ხარჯს. აღნიშნული ნაცვლად „სუბსიდიის“ მუხლისა, მიეკუთვნება „ოფისის ხარჯების“ მუხლს და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამის მუხლში.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2) „სუბსიდიის“ მუხლი გაზრდილია 39.0 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „ოფისის ხარჯების“ მუხლი.

გარეობა 2: 2014 წელს ქუთაისის მუნიციპალიტეტმა ტერიტორიის დასუფთავების ღონისძიებებისთვის გასწია 3 080.5 ათასი ლარის ხარჯი. გარდა ამისა, სხვადასხვა ხელშეკრულების ფარგლებში შეისყიდა გარე განათების, საკანალიზაციო ქსელის, შადრევნების ექსპლუატაცია და მწვანე-საფარის მოვლა-შენახვა, თანხით 3788.7 ათასი ლარი, ორმოული შეკეთების სამუშაოები, თანხით 1175.0 ათასი ლარი და სხვადასხვა სამუშაოები¹⁵, თანხით 207.1 ათასი ლარი. აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია „სუბსიდიის“ მუხლში, ნაცვლად „საქონლისა და მომსახურების“ მუხლისა.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2) „სუბსიდიის“ მუხლი გაზრდილია 8251.3 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „საქონლისა და მომსახურების“ მუხლი.

სხვა ხარჯი

გარემოება 1: პროგრამა „კორპუსის“ ფარგლებში, ამხანაგობების თანადაფინანსებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ შეისყიდა 3 434.8 ათასი ლარის ღირებულების მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და ლიფტების კეთილმოწყობის სამუშაოები, ასევე საცხოვრებელი სახლების სახურავებისათვის მასალები¹⁶. ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებლებს აუნაზღაურდათ სამუშაოების ღირებულების ნაწილი 3 365.5 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი 69.3 ათასი ლარი დაუკავდათ საგარანტიო ვადის გასვლამდე. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით¹⁷, საოჯახო მეურნეობებზე გაცემული ფულადი/სასაქონლო ფორმის კაპიტალური ტრანსფერი მიეკუთვნება „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლს. ფინანსურ ანგარიშგებაში, ოპერაცია ნაცვლად „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯის“ მუხლისა, წარმოდგენილია „სუბსიდიის“ მუხლში თანხით 3 365.5

¹⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №672

¹⁵ ხელშეკრულებები №38,102,126,127,135,165,294,365,424,435 (რამდენიმე ხელშეკრულების გარეშე)

¹⁶ ხელშეკრულებები №132,146,160,169,214,216,219,260,270,271,292,319,380,428,431,437

¹⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №672

ათასი ლარი. კრედიტორული დავალიანება კი 69.3 ათასი ლარი „სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების“ მუხლში არ არის აღიცხული.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2, №3) „სუბსიდიის“ მუხლი გაზრდილია 3 365.5 ათასი ლარით, „სხვა ხარჯების“ მუხლი (ფაქტიური) შემცირებულია 3 434.8 ათასი ლარით, შესაბამისად, (ბალანსი - ფორმა №1) „სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების“ მუხლი შემცირებულია 69.3 ათასი ლარით.

გარემოება 2: მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 8.9 ათასი ლარის ფასადების რეაბილიტაციისა და შენობების შესასვლელ კიბეებზე პანდუსების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა¹⁸. აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია „სუბსიდიის“ მუხლში, ნაცვლად „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლისა.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2, №3) „სუბსიდიის“ მუხლი გაზრდილია 8.9 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლი.

გარემოება 3: მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდულია საოლქო-საარჩევნო კომისიის ოფისის შენობის სახურავის მოწყობის სამუშაოები, თანხით 59.7 ათასი ლარი. აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში, ნაცვლად „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლისა.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 59.7 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლი.

გარემოება 4: 2014 წელს შესყიდულია მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ნაგავშემკრები, ე.წ. „ბუნკერების“ გაუქმების სამუშაო¹⁹, თანხით 27.5 ათასი ლარი. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით²⁰, აღნიშნული მიეკუთვნება „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯის“ მუხლის, ნაცვლად „სუბსიდიის“ მუხლისა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამის მუხლში.

¹⁸ ხელშეკრულებები № 119,145,360

¹⁹ ხელშეკრულება №391

²⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №672

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2) „სუბსიდიის“ მუხლი გაზრდილია 27.5 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების“ მუხლი.

არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლა

გარემოება : მუნიციპალიტეტის სამსახურების ინფორმაციით, 2014 წელს გაყიდულია 468.1 ათასი ლარის საწყისი ღირებულების შენობა-ნაგებობები და 1 188.2 ათასი ლარის არაწარმოებული აქტივები, კერძოდ, მიწის ნაკვეთები. არაფინანსური აქტივების მოძრაობა არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. აქტივების გაყიდვით მიღებულმა თანხამ 1 803.8 ათასი ლარი შეადგინა. მოგება/ზარალი ფლობიდან (8100) ანგარიშის კრედიტში ასევე არ გატარებულა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის ღირებულებას შორის სხვაობით მიღებული ნამეტი თანხა 147.5 ათასი ლარი.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართ ფორმა №5) „შენობა-ნაგებობებისა“ და „არაწარმოებული აქტივების“ გასვლის მუხლები არასწორადაა წარმოდგენილი.
- o „არასაოპერაციო შემოსავლების“ მუხლში (კრედიტი) (ბალანსის დანართ ფორმა №3) არ არის ასახული 147.5 ათასი ლარი, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- o აღნიშნული გარემოებები გავლენას ახდენს (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართ ფორმა №3) წმინდა ღირებულების სისწორეზე.

ინვენტარიზაცია

გარემოება: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების²¹ - „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაცია ვალდებულია მოახდინოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა სამ წელიწადში ერთხელ მაინც.

2013 წლის 30 მაისის №758 ბრძანების საფუძველზე დაიწყო თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა და მერიის სტრუქტურული ერთეულების ბალანსზე რიცხული უძრავ-მოძრავი ქონების ინვენტარიზაცია. აღნიშნულ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შედეგად, 2015 წლის მარტში მომზადდა დასკვნა საინვენტარიზაციო აღწერის შესახებ.

²¹ 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

მოქმედი კანონმდებლობით, ინვენტარიზაცია უნდა დასრულდეს საანგარიშგებო წლის ბოლოს.

გავლენა

- o გამოვლენილი გარემოების შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ დაირღვა „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ ინსტრუქციის მოთხოვნები. დარღვეულ იქნა ინვენტარიზაციის ჩატარების ვადები.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად ასახავს მუნიციპალიტეტის ბალანსს 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, მიღებული სახსრების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღებით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდებისათვის.

2015 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი საბანკო ამონაწერების მიხედვით, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს ნაშთის სახით ერიცხება -6 521.4 ათასი ლარი, ხოლო 2016 წლის 1 იანვრისთვის სახელმწიფო ხაზინაში ნაშთი დარჩა 7 058.3 ათასი ლარი. 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი არ არის საბანკო ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების საწყისი და საბოლოო ნაშთები.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ მუხლის საწყისი და საბოლოო ნაშთები შემცირებულად არის წარმოდგენილი, რაც გავლენას ახდენს ბალანსის სისწორეზე.

მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებითა და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით

გარემოება: 2016 წლის 1 იანვრის მონაცემებით, მუნიციპალიტეტს ერიცხება წინა წლების საიჯარო ქირის მიუღებელი თანხა, სულ 424.5 ათასი ლარი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით²², ანგარიშზე – „მოთხოვნები

²² „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“ , აღირიცხება გადასახადებთან და საკუთრების სხვა შემოსავლებთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები. მიუღებელი საიჯარო ქირა მუნიციპალიტეტის მიერ არ არის აღრიცხული ბუღალტრულად და შესაბამისად, არ არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლების“ მუხლი შემცირებულია 424.5 ათასი ლარით.

მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით

გარემოება: 2016 წლის 1-ლი იანვრის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის სამსახურების ინფორმაციის შესაბამისად, წინა წლებში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის სახით მიუღებელია 605,3 ათასი ლარი. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად²³, აღნიშნული სახის მოთხოვნები წარმოიქმნება აქტივების მიწოდების ან მომსახურების გაწევის შედეგად. თანხა, როგორც მუნიციპალიტეტის კუთვნილი შემოსავლები, მუნიციპალიტეტის მიერ არ არის აღრიცხული და წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1)–„მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“ მუხლი შემცირებულია 605.3 ათასი ლარით.

სხვა საგადასახადო აქტივი

გარემოება: ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შედარების აქტის მიხედვით, ქუთაისის მუნიციპალიტეტს 2015 წლის გადასახადების საბოლოო სალდოდ ერიცხება ზედმეტობა 98.8 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული საგადასახადო აქტივი ბალანსის შესაბამის მუხლში ასახული არ არის.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „სხვა საგადასახადო აქტივის“ მუხლი შემცირებულია 98.8 ათასი ლარით.
- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

²³ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

შენიშვნა-ნაგებობები

გარემოება 1: შუქნიშნების მოწყობის სამუშაოები²⁴, თანხით 44.4 ათასი ლარი, წარმოადგენს ორგანიზაციის არაფინანსური აქტივის ზრდის ოპერაციას და უნდა აღირიცხოს „შენიშვნა-ნაგებობების“ შესაბამის მუხლებში, თუმცა ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1; ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფორმა №5) „შენიშვნა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლი შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი.
- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 44.4 ათასი ლარით.
- o შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა, რაც არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- o დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება 2: 2015 წელს შესყიდულია ქალაქის შემოსავლების მიმანიშნებელი ფირნიში²⁵, თანხით 4.7 ათასი ლარი. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს, ხოლო ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად წარმოდგენილია „სუბსიდიის“ მუხლში.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1; ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფორმა №5) „შენიშვნა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლი შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი.
- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სუბსიდიის“ მუხლი გაზრდილია 4.7 ათასი ლარით.
- o შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა, რაც არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- o დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

²⁴ ხელშეკრულება № 381

²⁵ ხელშეკრულება №344

გარემოება 3: მერიის ცენტრალურ შესასვლელში პანდუსების მოწყობა²⁶, თანხით 22.3 ათასი ლარი, სკვერებში ტრენაჟორების მოწყობა²⁷, თანხით 44.7 ათასი ლარი, ასევე 14.2 ათასი ლარის სხვადასხვა საპროექტო სამუშაოები²⁸, რომლითაც შეიქმნა მუნიციპალიტეტის ძირითადი აქტივი, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია „სხვადასხვა კაპიტალური“ და „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების“ მუხლში, ნაცვლად არაფინანსური აქტივების შესაბამისი მუხლისა.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1; ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლი შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი.
- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სხვა ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 81.2 ათასი ლარით.
- o შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა, რაც არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- o დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

არაწარმოებული აქტივები

გარემოება: მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 2015 წელს არსებობდა 470.0 ათას კვ.მ-ზე მეტი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1321-ის თანახმად²⁹, არაწარმოებული აქტივები კლასიფიცირდება გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებად და აღირიცხება „არაწარმოებული აქტივის“ ანგარიშზე. აღნიშნული აქტივი მუნიციპალიტეტის მიერ არ არის აღრიცხული და წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „არაწარმოებული აქტივების“ მუხლი შემცირებულია შესაბამისი თანხით.
- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №3) არაფინანსური აქტივების მიღება არ არის ასახული, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- o „არაწარმოებული აქტივების“, კერძოდ, „მიწის“ მუხლში (ბალანსის დანართი ფორმა №5) არ არის ნაჩვენები მიწის ღირებულება.

²⁶ ხელშეკრულება № 38

²⁷ ხელშეკრულება № 276

²⁸ ხელშეკრულება № 124,178,212

²⁹ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები

გარემოება: მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის მიერ სარგებლობის უფლებით გაცემული ქონებიდან მოიჯარეების მიერ წინასწარ გადახდილმა საიჯარო ქირამ შეადგინა 93.6 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ წინასწარ მიღებული თანხას არ არის აღრიცხული და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი³⁰.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) არ არის ასახული მუხლი „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები“, თანხით 93.6 ათასი ლარი.

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები

გარემოება: მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხის ფარგლებში, მუნიციპალიტეტში განხორციელებულია საინვესტიციო ინფრასტრუქტურული პროექტები, გრძელვადიანი დაფინანსების ფორმით. 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის დარჩენილი გადასახდელი თანხა შეადგენს 746.7 ათას ლარს. აღნიშნული ვალდებულება ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1), „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებების“ მუხლი არ არის წარმოდგენილი 746.7 ათასი ლარით.
- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

შრომის ანაზღაურება

